ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 291 (19488) ◆ პარასკევი, 20 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი გამარჯვების პატაკები

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობები

აფხაზეთის ასსრ მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც შრომით ნობათებს უმზადებენ სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, ვადამდე შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ხუთწლიანი გეგმა. წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ 120 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას.

ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეასრულეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

* * *

აჭარის ასსრ მრეწველობის მუშაკებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, უზრუნველყვეს წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალებათა შესრულება. მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 100 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შეასრულეს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ხუთწლიანი გეგმა.

* * *

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს და ემზადებიან სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად, ვადამდე შეასრულეს წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

(საქინფორმი).

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა

„ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობის ამერიკელ თანათავმჯდომარეს ბ. ლაუნს

18 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობის ამერიკელი თანათავმჯდომარე პროფესორი ბ. ლაუნი. შეხვედრაში მონაწილეობდა მოძრაობის საბჭოთა თანათავმჯდომარე აკადემიკოსი ე. ი. ჩაზოვი.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს ბ. ლაუნმა ილაპარაკა მოძრაობის საქმიანობაზე, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 50-ზე მეტი სახელმწიფოს 145 ათასზე მეტ ექიმსა და მედიცინის მუშაკს. მოძრაობას, რომელიც სწავლობს ბირთვული ომის შესაძლო სამედიცინო-ბიოლოგიურ შედეგებს და მიღებულ მონაცემებს აცნობს საზოგადოებრიობას, პოლიტიკურ მოღვაწეებს და მთავრობებს, არსებითი წვლილი შეაქვს ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრის საქმეში.

მის მიერ წამოყენებული პროგრამა ითვალისწინებს ბირთვული შეიარაღების გაყინვას, შემცირებას და ლიკვიდაციას, მისი გამოცდის აკრძალვას, იმას, რომ მას პირველი არ გამოიყენებენ, კოსმოსში გამალებული შეიარაღების გაუვრცელებლობას, ფართო საერთაშორისო მშვიდობიან თანამშრომლობას.

ბ. ლაუნმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრის პრობლემათა განხილვაში ხალხის ფართო მასების ჩაბმას. ხალხების ხმა უნდა ისმოდეს, გავლენას ახდენდეს მთავრობათა გადაწყვეტილებებზე.

ბ. ლაუნმა მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს და, კერძოდ, ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმს, რომელიც მიმდინარე წლის 6 აგვისტოდან არის გამოცხადებული. მოწოდებას — გამოეცხადებინათ ასეთი მორატორიუმი — შეიცავდა ექიმთა მოძრაობის მე-5 საერთაშორისო კონგრესის მიმართვა მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანისადმი [illegible]



[illegible]

... რამბისათვის 1985 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის მინიჭება. საბჭოთა კავშირში, თქვა მან, დიდი პატივისცემითა და სიმპატიით ეკიდებიან ამ მოძრაობის საქმიანობას, მის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან გამაჯანსაღებელ მისიას. დღეს მას სამართლიანად ეკუთვნის ავტორიტეტული ადგილი [illegible]

... განხილვაციების ხმა მშვიდობის დასაცავად. ეს კაცობრიობის ერთგვარი თვითდაცვის ინსტინქტის გამოხატულებაა.

ბირთვული იარაღის მეშვეობით დაშინებაზე აგებული მშვიდობა მერყევი მშვიდობაა. მისი განმტკიცება დედამიწაზე თუ კოსმოსში შეიარაღების ზრდის შედეგად [illegible]

... კიცებას, რის შესახებაც მხარეებმა მოილაპარაკეს ჟენევაში. ბეჯითად პროპაგანდის, ტელევიზიის, კინოს აქტიურად იყენებენ, რათა გააღვივონ უნდობლობა და მტრობა სსრ კავშირისადმი, საბჭოთა ადამიანებისადმი. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებში [illegible]

... ბა და არა კონფრონტაცია“ — ასეთი იყო ექიმთა მოძრაობის ამასწინანდელი საერთაშორისო კონგრესის ლოზუნგი. ამას არ შეიძლება არ დაეთანხმოთ. ჩვენს დროში თანამშრომლობა როგორც მთელი ცივილიზაციის პროგრესის, ისე ჩვენი ერთობლივი გა- [illegible]

... სათვის, არნახული მასშტაბით დააჩქაროს გამალებული შეიარაღება. ამის შედეგად მკვეთრად გაიზრდება, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ექიმთა მოძრაობის მიმართვაში, გლობალური ბირთვული კონფლიქტის საფრთხე.

ახლა ეს პრაქტიკულად მთელ მსოფლიოს ესმის. ეს-ეს არის 151 სახელმწიფომ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებითად ყველა წევრმა, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, ხმა მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალუ- [illegible]

... ლურ საქმიანობაში.

(საქდესი).

სურათზე: საუბრის დროს.
საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ეკონომიკის სტრატეგიული ბერკეტი

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის ძირითადი დებულებანი

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა შემუშავებულია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 1984 წლის უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 38-ე (რიგგარეშე) სხდომის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და მიღებულია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მიერ 41-ე (რიგგარეშე) სხდომაზე.

მასში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე წარმოების ინტენსიფი- [illegible] ... ნამშრომლობასთან, ხოლო დაინტერესებულმა ქვეყნებმა — ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკაც.

ამ მორიგების დამკვიდრებისა და მისი განხორციელების ერთობლივი მოქმედების ორგანიზაციისათვის ეროვნული პროგრამების საფუძველზე შემუშავებულია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა.

მისი განხორციელებით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ისახავენ ჭეშმარიტად რევოლუციურ ამოცანას — მიაღწიონ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების უმაღლეს [illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

გულითად ვითარებაში

18 დეკემბერს სსრ კავშირის მთავრობამ დარბაზობა გაუმართა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 41-ე (რიგგარეშე) სხდომის მონაწილეებს.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ბ. ნ. ელცინი, ლ. ნ. ზაიკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულითად, ძმურ ვითარებაში ჩაიარა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა მოკლე სიტყვები წარმოთქვეს. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ლ. ლ. ზაქაიძის საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დაინიშნოს ამხ. ლონგინოზ ლევანის ძე ზაქაიძე საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 დეკემბერი.

ლონგინოზ ლევანის ძე ზაქაიძე დაიბადა 1929 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1953 წლიდან, განათლებით ეკონომისტია — დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შრომითი საქმიანობა ამხ. ლ. ლ. ზაქაიძემ დაიწყო 1950 წელს სა- [illegible] ... ური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორია, 1970 წლიდან — 1973 წლამდე — ამ განყოფილების გამგის მოადგილე.

1976 წელს ამხ. ლ. ლ. ზაქაიძეს ნიშნავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართ- [illegible]

პარტიის სოციალური პოლიტიკის გრძელვადიანი პროგრამა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენება რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1985 წლის 18 დეკემბერს

ამხანაგებო!

საკითხი, რომელიც დღეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივმა უნდა განიხილოს, სცილდება წმინდა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ფარგლებს, მას დიდი ზოგადპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დებულებანი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ტემპის შემდგომი დაჩქარების მოთხოვნილებანი დაედო საფუძვლად ამას წინათ მიღებულ 1986-2000 წლებში სახალხო მოხმარების საქონლის წა- [illegible]

... სენება გააკეთა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. ახლავე გავუსვამ ხაზს, რომ ამ აქტივის გადაწყვეტილებანი და რეკომენდაციები ინარჩუნებს თავის ძალასა და აქტუალურობას.

ჩამოყალიბდა მართვის გარკვეული სისტემა [illegible]

... ების საქონლის წარმოების პროცესი.

რა მოგვცა ამან? მეთერთმეტე ხუთწლედისათვის 132,4 პროცენტის დონეზე დადგენილი მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის ტემპის პირობებში მოსალოდნელი მაჩვენებელი 133,2 პროცენტს [illegible]

ბოლო ხანს უაღრესად გართულდა ბაზრის კონიუნქტურაც. მუშაკთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებამ, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებამ და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია მაღალხარისხოვან საქონელზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა [illegible]

... ბას. მაგრამ ამავე დროს საკმარისად არ გაითვალისწინეს ბაზრის კონიუნქტურა. მისმა შეცვლამ და ამის კვალობაზე ქარხანაში მოცულობის შემცირებამ გავლენა მოახდინა მთელი რესპუბლიკის მაჩვენებლებზე.

[illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

პარტიის სოციალური პოლიტიკის გრძელვადიანი პროგრამა

(დასასრული)

ანალოგიური ტენდენციები ვლინდება მსუბუქ მრეწველობაშიც. აქ მრავალი წლის მანძილზე მოცულობითი მაჩვენებლების ზრდა უზრუნველყოფილი იყო უპირატესად მატყლის რეცხვის გაფართოების გზით ძირითადი ამოცანის გადაწყვეტის — მოსახლეობისათვის პროდუქციის წარმოების საზიანოდ.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ხუთწლედისათვის დაგეგმილი ზრდის ტემპს, ვაჭრობა აგრეთვე ვერ აღწევს საკონტროლო დავალებებს, ამ დროს კი საწყობებში ასმილიონობით მანეთის პროდუქცია აწყვია.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის სფერო სრულიად ვერ იტანს ადმინისტრირებას. აქ ყველაზე სრულად ვლინდება ობიექტური ეკონომიკური კანონები და არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ამას. ვერც საგეგმო, ვერც სხვა ორგანოები ვერ აიძულებენ მომხმარებელს იყიდოს საქონელი, თუკი მას რაიმე მიზეზით ეს არ სურს. სწორედ მომხმარებლის ინტერესები, მისი ჭირვეულობაც კი, უკარნახებს თავის პირობებს პროდუქციის მწარმოებლებსა და ვაჭრობას, და ამას დღეს არ შეიძლება არ ვითვალისწინებდეთ.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა მეცნიერების, მრეწველობის, ვაჭრობის, საგეგმო და ეკონომიკური სამსახურების ძალისხმევა მოვახმაროთ მაღალხარისხოვანი და ხალხისათვის საჭირო საქონლის გამოშვების უზრუნველყოფას.

ხარისხოვანი, დიდი მოთხოვნის პროდუქციის წარმოების ზრდის სტიმულირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის მრავალი დარგის გადაყვანას მეურნეობრიობის ახალ პირობებზე.

მომავალი წლის დამდეგიდან ახალ პირობებზე გადადიან რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, რომელთა წილი რესპუბლიკაში არასასურსათო საქონლის წარმოების საერთო მოცულობაში 66,3 პროცენტია. ამას წინათ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მოვისმინეთ მინისტრების ამხანაგების ბ. ზ. მაყაშვილისა და თ. შ. ხაჩიძის ანგარიშები ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯისათვის ამ დარგების მზადყოფნის შესახებ. პირდაპირ უნდა ითქვას, ძალზე ბევრი ნაკლია.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საქმის ვითარებას მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში, ამასთან აღნიშნა, რომ ისინი ნელა გარდაიქმნება ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, დამაკმაყოფილებელი არ არის პროდუქციის ხარისხი, შეიქმნა მძიმე ფინანსური მდგომარეობა. დაისახა შიდადარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის, წარმოების განახლების, არსებულ სიმძლავრეთა უფრო სრული გამოყენების, კადრებთან მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების ამოცანები.

რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაში, მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელობის, ამ დარგის პრესტიჟულობის გათვალისწინებით, რომელიც რესპუბლიკის მარკას წარმოადგენს საერთო-საკავშირო ბაზარზე, მკვეთრად უნდა გავზარდოთ ყველა ორგანოს, მათ შორის ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობა და დაინტერესება მისი მდგომარეობით. უკვე უახლოეს დროში უნდა მივაღწიოთ, რომ მსუბუქი მრეწველობის ყოველი საწარმო სანიმუშოთა შორის იყოს!

ადგილობრივმა ხელისუფლებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ადგილობრივი მრეწველობისადმი. მისი საწარმოები ხომ ხშირად ფაქტობრივად განსაზღვრავენ ამა თუ იმ რაიონის მთელ სამრეწველო პოტენციალს. განა ასე ძნელია აქ სათანადო წესრიგის დამყარება? და, რა თქმა უნდა, დარგისათვის განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოიჩინონ რესპუბლიკურმა ორგანოებმა. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ის სამინისტროა, რომელიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს რესპუბლიკას, აკმაყოფილებდეს ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებას იმ საქონელზე, რომელიც ცენტრალიზებულად არ იგეგმება. დიდია ადგილობრივი მრეწველობის მნიშვნელობა რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებაში. უნდა ითქვას, რომ შესაძლებლობანი აქ უბრალოდ უსაზღვროა, შეიძლება წარმოების სწრაფად გარდაქმნა, არ არის საჭირო იმდენი შეთანხმება, რამდენიც სხვა დარგებში. მაგრამ ამ შესაძლებლობებს სრულიად ვერ იყენებენ.

მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ფინანსთა სამინისტრომ და სხვა ორგანოებმა წლის დამლევამდე უნდა გადაჭრან სერიოზული პრობლემები, რათა უზრუნველყონ დარგის სტაბილური მუშაობა 1986 წელს.

ამავე დროს, ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მაგალითად, ამ პრობლემის გადაჭრაში დიდი დახმარება შეუძლია გაგვიწიოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსმა. აქ განსაკუთრებით სეზონებს შუა პერიოდში ბევრი მუშახელია, რომელიც შეიძლება დავასაქმოთ ტრადიციული, ჭარბად არსებული ნედლეულისა და მასალებისაგან ნაწარმის გამოშვებით.

სოლიდური შესაძლებლობანი აქვთ მშენებლებს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაშიც. ჯერჯერობით სამშენებლო სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც მძლავრი ბაზები აქვთ, პრაქტიკულად არ აწარმოებენ სამშენებლო კონსტრუქციებსა და დეტალებს ბაზრისათვის. ამავე დროს, როგორც არაერთგზის აღინიშნა, მათს საწარმოებში ყოველწლიურად გროვდება საწარმოო მიზნებისათვის გამოუსადეგარი დაახლოებით 50 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაწარმი და კონსტრუქციები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს მოსახლეობამ სამეურნეო საჭიროებებისათვის. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახმშენმა უფრო აქტიური პოზიცია უნდა დაიკავონ ამ საკითხებში. ხე-ტყის დამმუშავებელი, მანქანათმშენებლობის, ცემენტისა და სხვა დარგების მთელი რიგი საწარმოო ნარჩენები აგრეთვე უნდა მივაკუთვნოთ სახალხო მოხმარების საქონლის კატეგორიას.

ხალხისათვის საჭირო საქონლის, განსაკუთრებით ტექნიკურად რთული ნაწარმის გამოშვების დიდი ამოცანებია დასახული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების წინაშე. მეტალურგები, ქიმიკოსები, მანქანათმშენებლები ძირითადად ართმევენ თავს საგეგმო დავალებებს.

ამავე დროს, მანქანათმშენებლობის საწარმოებშიც კი სახალხო მეურნეობის საქონლის დაგეგმილი გამოშვება ხელფასის ფონდის 1 მანეთზე შეადგენს 73 კაპიკს, რაც გაცილებით დაბალია საშუალო დარგობრივ დონესთან შედარებით.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ მაჩვენებლის გადიდებისათვის საჭიროა ორიენტაცია ავიღოთ სპეციალიზებული სიმძლავრეების შექმნაზე.

საჭიროა, რომ ყველა საწარმომ გაიზიაროს ეს გამოცდილება. ჩვენი მხრივ ვთხოვთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმომარაგებასა და მშენებლობის სამინისტროს მშენებარე ობიექტებს მუდმივი დახმარება გაუწიონ, პარტიულ კომიტეტებმა კი ამ სიმძლავრეებს განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ და უზრუნველყონ მათი დროული გადაცემა საექსპლოატაციოდ.

ამასთან კვლავაც უნდა სრულვყოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების ყველა პროცესის მართვა. თანაც, სრულვყოთ მართვის უმაღლესი ეშელონების დონეზე. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ მრავალი დისპროპორცია მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში საერთო ეკონომიკური პროპორციების დარღვევის შედეგი გახდა. როცა ვცდილობთ ამ დარგების, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის ხარჯზე ავინაზღაუროთ ჩამორჩენა მეტალურგიაში, ქიმიაში, მანქანათმშენებლობაში, ეს აუცილებლად იწვევს სერიოზულ შეუთანხმებლობას. ასეთ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს. გვახსოვდეს ლენინის დებულება „ა" ჯგუფის მრეწველობის უპირატესი მნიშვნელობის შესახებ. ყოველნაირი გადაჭრა ამ თვალსაზრისით სოციალისტური კვლავწარმოების ოდუცმდებელი კანონების დარღვევაა.

მეორე მხრივ, როცა ხალხისათვის საჭირო საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მართვის სრულყოფის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ამ საქმეში ვაჭრობის როლის შემდგომი გაძლიერება, მრეწველობაზე მისი გავლენის გადიდება. სწორედ ამ საქმეში გვაქვს განსაკუთრებით ბევრი ნაკლი და, არაერთგზისი მითითებების მიუხედავად, ძვრები თითქმის არ შეიმჩნევა.

საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების და მომსახურების შეუსაბამობა რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის მნიშვნელოვანი გაუარესების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზი გახდა. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა იმას იწვევს, რომ არასასურსათო საქონლის შეძენისათვის სახელმწიფო ვაჭრობის გარეთ მოსახლეობა ხარჯავს ამ მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯების საერთო თანხის დაახლოებით მეხუთედს. ანალოგიური სურათია სურსათისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ნაწილშიც. უზომოდ დიდია საკოლმეურნეო ბაზრების პროდუქტების ხვედრითი წილი ოჯახის ბიუჯეტში. ეს დაკავშირებულია მრავალ დარღვევასთან, სპეკულაციასთან, და ჩვენ ყურადღება არ უნდა შევანელოთ ამ უბნის მიმართ. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლის მოხმარების დონის მიხედვით არსებითად ჩამოვრჩებით რეკომენდებულ ნორმატივებს.

რესპუბლიკის ბაზრის კონიუნქტურის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ მოსახლეობის არარეალიზებული შემოსავლის მნიშვნელოვანი მოცულობისა და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების პირობებში შეიმჩნევა საქონლის მარაგისა და ზენორმატიული ნაშთების ზრდა, მათ შორის ისეთების, რომლებზეც მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება. შექმნილი ვითარება აიხსნება მოცულობის, სტრუქტურის, ხარისხის, სამომხმარებლო თვისებების მიხედვით საქონლის მიწოდებისა და მომსახურების შეუსაბამობით.

ავიღოთ ხარისხის პრობლემა. უხერხულიც კია პროდუქციის გაგზავნის აკრძალვის, მისი დასახვეწად დაბრუნების ფაქტების დასახელება. ეს ყველაფერი არაერთხელ გაგვიკეთებია, მდგომარეობა კი კვლავ მძიმეა.

აქტივამდე ამხანაგებმა ჩაწოლილი და გაუსაღებელი ნაწარმის ნიმუშები გვიჩვენეს. უბრალოდ არ შემიძლია დავფარო აღშფოთება: როგორ შეიძლება ასეთი რამის გამოშვება? ნუთუ იმათ, ვინც ამ პროდუქციას აწარმოებს, სირცხვილის ელემენტარული გრძნობა არა აქვთ? სხვა რამეზე აღარ ვლაპარაკობ. თეთრ სვიტრს ერთი სახელო რატომღაც ყვითელი აქვს მიკერებული. ეს აშკარა წუნი, აშკარა უგემოვნობაა. და არც არავინ ისჯება ამის გამო.

თითქოსდა ეს ყველაფერი ადამიანებისათვის არ კეთდებოდეს! რა იქნება, რომ მოვკიდოთ ხელი იმას, ვინც ეს ნაწარმი დაამზადა, და მივიყვანოთ მაღაზიაში: დაე, პასუხი გასცეს მყიდველებს, თვალი გაუსწოროს მათ. არა მგონია ვინმე თანახმა იყოს ამაზე. არადა, ასეთი ფორმაც უნდა შემოვიღოთ. საწარმოთა ხელმძღვანელები უბრალოდ მოვალენი არიან თითონ იარონ სავაჭრო ობიექტებში. უნდა ვაწყობდეთ მუშათა შეხვედრებს ვაჭრობის წარმომადგენლებთან და მყიდველებთან. იიბ მაშინ გაიხსენონ თავიანთი პროფესიული სიამაყე და ღირსება.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ფაქტები, რომლებსაც წინათ ვერ ვამჩნევდით, ის შემთხვევები, როცა გასაგზავნად აკრძალული პროდუქცია მაინც ხვდება სავაჭრო ქსელში. მაგალითად, ქუთაისში გაერთიანება „გელათმა" ექვსჯერ, ხოლო კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებამ — 17-ჯერ გაგზავნეს აკრძალვის შემდეგ დაუბრკოლებლად პროდუქცია. სრულიად გაუგებარია, რას უყურებენ სამრეწველო საწარმოთა შესაბამისი სამსახურები, სახბანკის განყოფილებები, საბითუმო ბაზები და, რაც ყველაზე მთავარია, საცალო სავაჭრო ორგანიზაციები? ამასთან, ზოგ-ზოგები საბუთების აშკარა გაყალბებას, ნაწარმის არასწორ ნიშანდებასაც არ თაკილობენ, როგორც ეს მოხდა ბორჯომის რაიონულ სამრეწველო კომბინატში, თბილისის №-3 მექანიკურ ქარხანაში. ეს უკვე დანაშაულია, ამგვარი დარღვევების მიღმა ძალზე სერიოზული და არაერთნიშნა პროცესები იმალება, რომლებშიც არცთუ ისე სახარბიელო როლს ასრულებენ თვით ვაჭრობის მუშაკებიც.

უფრო მეტად უნდა მოვკითხოთ მაკონტროლებელ ორგანოებს და ამასთან ერთად გავაუმჯობესოთ თვით მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით რესპუბლიკაში გადაიდგა. მაგალითად, საბოლოო შედეგებისათვის, პროდუქციის რეალიზაციისათვის საწარმოთა პასუხისმგებლობის გადიდების მიზნით 1983 წლის დამლევს შეიქმნა ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა. ექსპერიმენტის წესით მას ფართო უფლებები მიენიჭა წარმოებისა და ვაჭრობის, ფას-და ფონდწარმოქმნის, მატერიალური სტიმულირებისა და სხვა საკითხებში. ფირმის მექანიზმი ისეა გააზრებული, რომ მისი თითოეული მუშაკის პირადი დაინტერესება საბოლოო შედეგით მთელი მისი სტრუქტურის მამოძრავებელი ძალა იყოს. ფირმის მუშაობის შედეგები ადასტურებს ასეთი ექსპერიმენტის ზოგიერთ უპირატესობას: საფირმო მაღაზიების დახლებზე გაუმჯობესებული ხარისხის საქონელი გამოჩნდა, რომელსაც დიდი გასავალი აქვს.

მაგრამ ბოლო ხანს ეს დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტი ცოტა არ იყოს შენელდა. ჩვენ დიდი ნდობა გავგიწიეს, ფირმის ხელმძღვანელობა კი რატომღაც აღარ აფართოებს წარმოების მოცულობას, აღარ ხვეწს მუშაობის მეთოდებს, მან შეანელა კონტროლი დროებითი დებულების დაცვისადმი. გენერალური დირექტორი ამხ. რ. ტ. დობორჯგინიძე უფრო რეკლამამ გაიტაცა. მეტ პრინციპულობას და მომთხოვნელობას უნდა ვიჩენდეთ ამგვარ საკითხებში.

მთლიანად ჩამოშორდა ექსპერიმენტს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი არა ვართ, რომ საექსპერიმენტო საწარმოებს განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები შევუქმნათ, მაგრამ რაღაცნაირად ხომ უნდა დავეხმაროთ მათ, გავერკვეთ, თუ რატომ შეიქმნა ფირმაში მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რატომ წყდება ასე ნელა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების საკითხები. ამ საქმეს მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებანიც. საჭიროა ეს ექსპერიმენტი ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანოთ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ღონისძიებანი, რომლებიც აძლიერებენ მომხმარებლის ზემოქმედებას პროდუქციის ტექნიკურ დონესა და ხარისხზე. სახალხო მოხმარების საქონელთან და მომსახურების სფეროსთან დაკავშირებით ეს დებულება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.

მომხმარებლის ინტერესებს უწინარესად რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო უნდა წარმომადგენლობდეს და იცავდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი ამას არ შვრება და, მაშასადამე, არ ასრულებს თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას. ძალიან მეეჭვება, რომ დარგის ხელმძღვანელები თვითონ იყენებდნენ მათი სისტემის დახლებზე გამოტანილ პროდუქციას, ისევე როგორც მისი გამომშვები საწარმოების ხელმძღვანელები.

დასკვნა ნათელია: ვაჭრობის სამინისტროში ხელმძღვანელობის სრულიად მანკიერი სტილი ჩამოყალიბდა. თქვენ იცით, რომ ახლახან სისტემაში უხეში დარღვევების დაშვებისათვის, პროტექციონიზმისა და გაუმართლებელი ლიბერალიზმის გამოვლენისათვის ვაჭრობის მინისტრი მ. მ. ქაჯაია მოიხსნა სამუშაოდან და მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. განთავისუფლდნენ და პარტიული წესით მკაცრად დაისაჯნენ მინისტრის მოადგილე ბ. გ. ნაზღაიძე და კადრების სამმართველოს უფროსი გ. გ. ჩუბინიძე. ამ საქმის გარემოებებს ჩვენი პრესის გამოსვლებით იცნობთ.

დღეს კი ლაპარაკი სხვა რამეზეა, საქმე ეხება არა მარტო პროტექციონიზმსა და არა მარტო იმას, რომ უარესდება დარგის მაჩვენებლები. მთავარია გავერკვეთ, რატომ პოულობენ ადვილად მფარველებს ისეთი საეჭვო პიროვნებები, როგორებიც არიან სიჭინავა, სანდროსოვი და სხვები, რატომ გრძნობენ თავს ლაღად ვაჭრობის სამინისტროში, რატომ უჭირავთ თავი მათ აქ ესოდენ გულდაჯერებით, ზოგჯერ კი — თავხედურადაც? რატომ უწყობენ ხელს მათ სამინისტროს ხელმძღვანელები, მიჰყვებიან მათს ნებას? იმიტომ

ეკონომიკური სტრატეგიის ბერკეტი

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის ძირითადი დებულებანი

(დასასრული)

ამიტომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები მტკიცედ ილვწიან კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, ყველაზე ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის მეცნიერებაში, ტექნიკასა და ტექნოლოგიაში რევოლუციური ძვრების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გამოყენების მიზნით.

ურთიერთდაკავშირებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული პროგრამა იქნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერირების საფუძველი, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ერთ-ერთი წამყვანი მაორგანიზებელი საწყისი, ხელს შეუწყობს მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების დარგში სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ფართო განვითარებას და საგარეო ვაჭრობის ზრდის დაჩქარებას.

კომპლექსური ხასიათის პროგრამაში განსაზღვრულია იმ მთავარ გზებზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ძალებისა და სახსრების კონცენტრაციის კონკრეტული თანამედროვე გზები, რომელთა დაჩქარებული განვითარება მთელი ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელი ფრონტით უმაღლესი დონის მიღწევის, XXI საუკუნის ახალ ტექნოლოგიურ ერაში შესვლის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას საფუძვლად დაედება უწინარეს ყოვლისა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხუთი პრიორიტეტული მიმართულების სწრაფი განვითარება. მის ფარგლებში თავის მხრივ გამოიყოფა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდული მიჯნები, რომელთა მიღწევას უმთავრესად ისახავს კიდეც მიზნად პროგრამა.

ავანგარდული მიჯნები დასახულია როგორც საკუთარი, ისე მსოფლიო გამოცდილების, აგრეთვე ერთობლივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირების შედეგების განზოგადების საფუძველზე. ახლა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ყოველი სირთულის ამოცანები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

ამ მიმართულებებით თეორიული მარაგნაკეთის უზრუნველყოფისათვის მიღებულია ფუნდამენტური კვლევის დარგში თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების ზომები.

სახალხო მეურნეობის ელექტრონიზაციის დარგში მოძმე ქვეყნების თანამშრომლობის ძირითადი მიზანია წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ფართო უზრუნველყოფა გამოთვლითი ტექნიკის ყველაზე მოწინავე საშუალებებით, რაც შრომის ნაყოფიერების კარდინალური გაზრდის, რესურსების, მასალებისა და ენერგიის დაზოგვის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერული გამოკვლევების ვადების შემცირების, არასაწარმოო სფეროს თვისებრივი გარდაქმნის საფუძველია.

ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ამოცანად დასახულია შეიქმნას ახალი თაობის სუპერელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები, რომელთა მოქმედების სიჩქარე წამში ათ მილიარდ ოპერაციას აღემატება და რომლებშიც გამოყენებულია ხელოვნური ინტელექტის პრინციპები, შეიქმნას გამოთვლითი ტექნიკის მასობრივი საშუალებანი, ციფრული ინფორმაციის გადაცემის ერთიანი სისტემა, კავშირგაბმულობის ჩქაროსნული ბოჭკოვან-ოპტიკური საშუალებანი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნულ სისტემებში გამოყენებისათვის, კავშირგაბმულობისა და ტელემაუწყებლობის თანამგზავრული სისტემების ახალი თაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ შორ მანძილზე ინფორმაციებისა და სატელევიზიო პროგრამების გადაცემას, ფართო გამის მრავალფეროვანი ხელსაწყოები, გადამწოდები, საკონტროლო-საზომი საშუალებანი მიკროელექტრონიკის მოწინავე მიღწევების საფუძველზე,

[...]

ნაწ ახალი, დიდი სიმტკიცის, კოროზიამედეგი და მხურვალმტკიცე კომპოზიციური და კერამიკული მასალების ფართო ნომენკლატურის სამრეწველო წარმოების შე-[...]

[...]ვის ძვირფასი საკვები დანამატებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, კვების, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და მრეწველობის სხვა დარგებში გამოსაყენე-[...]

[...]ნიზებელი ხელმძღვანელობით, რომლებიც პასუხს აგებენ მაღალი ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის, დადგენილ ვადებში დავალებათა შესრულებისათვის, აგ-[...]

[...] და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითად საკითხებს და განსაზღვრავს მისი შემდგომი განვითარების მთავარ მიმართულებებს. (საქინფორმი).

საუბრები კრემლში

[...]

ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, უფრო სრულად გამოიყენონ შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების შესაძლებლობანი.

* * *

ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, მონ-[...] და სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმების კოორდინაციისათვის გაწეული ერთობლივი მუშაობის დროს.

ნ. ი. რიჟკოვმა და დ. სოდნომმა დიდი შეფასება მისცეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დამთავრებული სესიის შედეგებს. სესიაზე მიღებულ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური [...]

[...] ბა აქვს მოსკოვში გამართულ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 41-ე (რიგგარეშე) სხდომას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სხდომაზე მიღებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა შეესაბამება მონაწილე ქვეყნების საერთო ინტერესებს, მოწოდებულია დიდი წვლილი შეიტანოს მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარე-[...] სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ორივე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

მხარეებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის მომზადებისათვის გაწეული კოლექტიური მუშაობის შედეგების გამო. (საქინფორმი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის პასუხი საქინფორმის კორესპონდენტის კითხვებზე

კითხვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 40-ე სესიაზე დამთავრდა კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და კოსმოსური სივრცის მშვიდობიან [...]

[...] კაცობრიობას ფანტასტიკად მიაჩნდა, დღეს მისი ყველაზე მოწინავე ძალები პრაქტიკული თვალსაზრისით აყენებენ კოსმოსის ფართო მასშტაბის მშვიდობიან ათვისებაზე გადასვლის, ამ საქმეში სა-[...]

[...] კატასტროფების დაკვირვება და ა. შ.

მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაცია განახორციელებს კოსმოსური სივრცის შესწავლისა და სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო [...]

[...] ტიკულ გამოყენებას ხომ თან უნდა სდევდეს სამეცნიერო კვლევის განვითარებაც. ჩვენი მეცნიერები, მაგალითად, აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კოსმოსური ხომალდებით საერთაშორისო ეკიპაჟე-[...]

[...]

18 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში პრესკონფერენცია გაიმართა საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის. იგი მიეძღვნა ეკონომიკური [...]

ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის

[...]ური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 2000 წლამდე მეცნიერულ-ტექნიკური [...]

[...] ეს არის სახალხო მეურნეობის ელექტრონიზაცია, კომპლექსური ავტომატიზაცია, ატომური [...]

[...] მკვეთრ მატებას და მისი ხასიათის შეცვლას, გამოიწვევს ეკონომიკის რადიკალურ სტრუქტუ-[...]

[...]

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

19 დეკემბერი ● საქდესი იუწყება

მსოფლიო პოლიტიკის კონსტრუქციული ფაქტორი

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 41-ე (რიგგარეშე) სესია მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო სოციალისტური თანამეგობრობის, არამედ მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში, მან მიიღო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა, რომელმაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს სოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, მათი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, კიდევ უფრო სრულად გამოავლინოს სოციალიზმის უპირატესობანი. სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიო პოლიტიკის საიმედო კონსტრუქციულ ფაქტორს, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამიმდევრულ, მიზანმიმართულ ბრძოლას განიარაღებისათვის, კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობისათვის, მთელი მსოფლიოს საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგების გამო საბჭოთა კავშირ-ამერიკის განცხადების დებულებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ეს აზრი ხაზგასმით არის აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის შედეგების, სესიის მუშაობაში მონაწილე მთავრობათა დელეგაციების მეთაურებთან და მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის გამო ფართო საერთაშორისო კომენტარებში.

აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული კურსი კვლავ მკაფიოდ დადასტურდა „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობის ამერიკელ თანათავმჯდომარე ბ. ლაუნთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის დროს.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა ჩეხოსლოვაკიელ ჟურნალისტებთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის სესიაზე მიღებულ კომპლექსურ პროგრამას. ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობა მის განხორციელებაში, თქვა მან, მეტად პასუხსაგები საქმეა. ყველა ამოცანა უნდა შევასრულოთ მაღალხარისხოვნად და უმოკლეს დროში. მთავრობათა დელეგაციების მეთაურებთან და მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრაზე ყოველმხრივ გააანალიზეს თანამედროვე მდგომარეობა და სოციალისტური თანამეგობრობისა და მთელი მსოფლიოს განვითარების ტენდენციები. ეს იყო საპროგრამო საუბარი, რომელიც მიეძღვნა მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში, საზოგადოების მთელ ცხოვრებაში ცვლილებათა საკითხების განხილვას. ცხადია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის სტილისა და მეთოდების შეუცვლელად ვერაფერს გავხდებით.

მიღებულია სოციალისტური თანამეგობრობის სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის მიზანია ძმური თანამშრომლობის თვისებრივი სრულყოფა, წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს წარმოების ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე ძირითად რგოლად მიაჩნიათ მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში, რომელთა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის პირობებში. ისინი იმის მომხრენი არიან, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები ჩავაყენოთ მშვიდობის სამსახურში. როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, საბჭოთა წყობილება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მწვერვალთა დაპყრობის უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის. ამ დარგში ჩვენს წარმატებებზე დამოკიდებულია სოციალიზმის უპირატესობათა უფრო სრული გამოვლენა. სსრ კავშირი, წერს შემდეგ გაზეთი, სახავს ბირთვული იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტის კონკრეტულ პროგრამას, რაც მოწმობს იმას, რომ იგი გულწრფელად ისწრაფვის შეიქმნას ის ჩიხიდან გამოსვლის სასიკეთო პირობები, რომელშიც მოქცეულია ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პროცესი. დაძაბულობის შენელება და თანამშრომლობა მშვიდობისა და ურთიერთუშიშროების პირობებში საბჭოთა კავშირს სახელმწიფოთა ურთიერთობის ყველაზე საიმედო და ეფექტიან მოდელად მიაჩნია.

სესია დამთავრდა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიღებით, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). როგორც მის კომუნიკეშია აღნიშნული, კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის, კოოპერაციისა და წარმოების სპეციალიზაციის განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მსოფლიოში სოციალიზმის პრესტიჟისა და მიმზიდველი ძალის ზრდას. მოსკოვში, წერს აგრეთვე გაზეთი, ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამიმდევრულ, მიზანმიმართულ ბრძოლას განიარაღებისათვის, კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის. ბ. ლაუნთან შეხვედრის დროს მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თანახმაა გაიაროს თავისი წილი გზა მტკიცე ურთიერთუშიშროებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის სტრუქტურის მშენებლობის მიმართულებით. მაგრამ ამასვე მოელის ამერიკის ხელმძღვანელობისგანაც. საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხელმძღვანელთა უკანასკნელი საჯარო გამოსვლები ძნელად ეხამება „ჟენევის სულისკვეთებას“.

● საფრანგეთი

წერილი ამერიკის პრეზიდენტს

პარიზი. საფრანგეთის სამშვიდობო მოძრაობამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. რეიგანისათვის გაგზავნილ წერილში მხარი დაუჭირა ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტას.

პოზიტიური ნაბიჯის შემდეგ, როგორიც იყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა ჟენევაში, საჭიროა კონკრეტული ღონისძიებები გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის. ფრანგი მებრძოლები მოითხოვენ, შეერთებულმა შტატებმა 1985 წლის დარჩენილ დღეებში გამოაცხადოს ბირთვული იარაღის გამოცდის მორატორიუმი. ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობდა ყოველგვარი ბირთვული აფეთქების სრული შეწყვეტის თაობაზე ნაყოფიერი მოლაპარაკების განახლებას, ხაზგასმით აღნიშნავენ ისინი.

● აშშ

ვეტო დაადეს

სან-ფრანცისკო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ვეტო დაადო ამერიკის ტელევიზიით დიალოგის ტრანსლაციას, რომელიც გაიმართა საბჭოთა და ამერიკელ ექიმ-კარდიოლოგთა შორის. ამას რომ იუწყება, „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იგი აკრძალეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა.

ასეთი გადაწყვეტილება თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა ფასი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხოტბაშესხმულ „სიტყვის თავისუფლებას“. შეერთებული შტატების მმართველი წრეები სიტყვით მხარს უჭერენ „აზრთა თავისუფალ გაზიარებას“, სინამდვილეში კი ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან ამერიკის აუდიტორიაზე გარედან „არასასურველი“ ზემოქმედება.

● გფრ

საბოლოო გადაწყვეტილება

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ამა წლის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში ბონის მონაწილეობის თაობაზე.

გადაწყვეტილების შესაბამისად, მალე დაიწყება მოლაპარაკება „სტრატეგიულ-თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელებაში დასავლეთ გერმანიის ფირმებისა და კონცერნების მონაწილეობის სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური დეტალების თაობაზე.

ფოტოფაქტი

აშშ

მანიფესტაცია საელჩოსთან

ვაშინგტონი. „აპარტეიდი ხოცავს!“ — ასეთ წარწერიანი დიდი ტრანსპარანტი გაშალეს ანტირასისტული მანიფესტაციის მონაწილეებმა, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვაშინგტონის საელჩოსთან გაიმართა. მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი — ჯესი ჯექსონი, კონგრესმენი უოლტერ ფონტროი, ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის აწ განსვენებული ლიდერის მარტინ ლუთერ კინგის ქვრივი კორეტა კინგი, დაუკავშირეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საელჩოსთან აპარტეიდის რეჟიმის ტერორისა და რასისტებისადმი ვაშინგტონის დახმარების წინააღმდეგ ყოველდღიური საპროტესტო აქციების დაწყების წლისთავს.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი ვაშინგტონში.

აპ-საქდესის ფოტო.

სპორტისათვის, მშვიდობისათვის

პრესკონფერენცია ვაშინგტონში

ვაშინგტონი. სპორტის დარგში სხვადასხვა ქვეყნის კონტაქტების განვითარება, სხვადასხვა სახელმწიფოს სპორტსმენების მონაწილეობა შეჯიბრებაში ხელს უწყობს ურთიერთგაგების განმტკიცებასა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას. ეს თქვეს აქ გამართული პრესკონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც მიეძღვნა მომავალი წლის ივნისში მოსკოვში კეთილი ნების ასპარეზობისათვის მზადებას. ეს უნიკალური სპორტული ღონისძიება გააერთიანებს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მრავალი სხვა ქვეყნის სპორტსმენებს.

— უაღრესად მოხარული ვარ, რომ მიმიწვიეს კეთილი ნების ასპარეზობაში მონაწილეობისათვის, — განაცხადა ამერიკელმა მსოფლიო რეკორდსმენმა სახტომში უილი ბენქსმა. — საბჭოთა ათლეტები პლანეტაზე უძლიერესთა შორის ითვლებიან, ამიტომ ჩემთვის დიდი პატივია ასეთ ოსტატებთან ასპარეზობა.

— მომავალ ასპარეზობაში საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების მონაწილეობა მარტო სპორტს როდი მოუტანს დიდ სარგებლობას, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელთა ოლიმპიური გუნდის კაპიტანმა გერი შორტერმა. — ეს თავისებური ერთობლ-

...რეზობისათვის აქტიურად ემზადებიან სსრ კავშირის სპორტკომიტეტი, სახტელერადიო და ამერიკის ტელევიზია.

მან „შესანიშნავი“ უწოდა საბჭოთა კოლეგებთან თანამშრომლობას ამ კეთილშობილურ წამოწყებაში და თქვა, რომ ანალოგიური ასპარეზობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990 წელს არის დაგეგმილი.

საერთაშორისო სპორტის დარგში „ახალი სტარტი“ უწოდა მომავალ ასპარეზობას ტრაგიკულად დაღუპული ამერიკელი მოსწავლის სამანტა სმითის დედამ ჯეინ სმითმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მის მომზადებაში. ამგვარი კონტაქტებ-...

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-30, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსის ტ უ ლ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — ...

ამ ორიოდე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა ითავეს უსასყიდლოდ გაეფორმებინათ დედაქალაქის საბავშვო საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, რის თაობაზეც ქალაქის ჯანდაცვის სამმართველოსთან სათანადო ხელშეკრულება დაიდო. და აი, მიმდინარე თვის დასაწყისში სტუდენტებმა ზღაპრებისა და ნახატი ფილმების სიუჟეტთა მიხედვით 200-მდე ნამუშევარი შექმნეს თბილისის № 1 ბავშვთა საავადმყოფოს ინტერიერისა და პალატების გასაფორმებლად.

მალე სტუდენტები № 1 ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს და დედაქალაქის საბავშვო პოლიკლინიკების გაფორმებას შეუდგებიან. ამას გარდა, სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნამუშევრების მიხედვით დამზადებული კერამიკული ნაწარმი, ჭედურობები თუ გობელენები დაამშვენებენ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის კერებს.

ახლახან კი სამხატვრო აკადემიის ინიციატივით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა აკადემიის სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა. 50-მდე ნამუშევარი (ფერწერა და გრაფიკა) საჩუქრად გადაეცა უნივერსიტეტს.

ლ. კილაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

სტუდენტური ნობათები

სურათზე: სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გია კერესელიძე (მარცხნიდან), № 1 ბავშვთა საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების უფროსი მედდა ანგელინა კობაჩევა და სტუდენტი მარიკა ანთია ნორჩ პაციენტებს აცნობენ თავიანთ ნამუშევრებს.

ვ. ბენბიურის ფოტო.

XX საუკუნის ბიოლოგიის დამახასიათებელი ნიშანი მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — გენეტიკის სწრაფი განვითარებაა.

...აუცილებელია ორსულმა ქალმა ემბრიონის განვითარების „კრიზისულ პერიოდში“ არ გამოიყენოს არავითარი წამალი.

...ინსულინს ისეთი მძიმე სნეულების სამკურნალოდ, როგორიც არის შაქრიანი დიაბეტი. ამჟამად ამ დაავადებით მსოფლიოში 50-60 მილიონი ადამიანია შეპყ-...

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

სამედიცინო გენეტიკა— ჯანმრთელობის სამსახურში

ო. კვაჭაძე,

ჭადრაკი

ჭადრაკის დაფებთან

საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა) მორიგ მეშვიდე ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების — სტურუას და გუფელდის შეხვედრას. პარტია გადაიდო თანაბარ ენდშპილში. გადაიდო აგრეთვე ზაიჩიკ-ტაბატაძის პარტია, რომელშიც ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატს ლაზიერი აქვს ზაიჩიკის ეტლისა და კუს წინააღმდეგ.

აზმაიფარაშვილმა ხარისხი მოუგო ჯანჯღავას და გამოიყენა კიდეც ეს უპირატესობა. მანაგაძემ მოუგო ბოკუჩავას, ჩიქოვან-გიდევანიშვილი, იაილიანი-გიორგაძე და ბაღათუროვი-შალამბერიძე კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ 4,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით დაწინაურდა ზაიჩიკი. სტურუას 4 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, აზმაიფარაშვილს — 4 ქულა (1), გუფელდს — 3,5 (3) და პირველი ადგილისათვის ბრძოლაც სწორედ ამ ოთხ მოჭადრაკეს შორის მიმდინარეობს.

ვილნიუსში დამთავრდა დამატებითი მატჩ-ტურნირი სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის. ბოლო პარტია, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მ. გურევიჩი და ვ. გავრიკოვი 31-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, „ოქროს მაძიებელმა“ სამივე მოჭადრაკემ ყველა პარტია ყაიმით დაამთავრა და 2-2 ქულა მოაგროვა. დებულების თანახმად, ძირითადი ჩემპიონატის კოეფიციენტთა ცხრილის მაჩვენებლების მიხედვით სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მიენიჭა 26 წლის საერთაშორისო ოსტატს, ხარკოველ მიხეილ გურევიჩს, ვერცხლის მედალი მოიპოვა ვ. გავრიკოვმა, ხოლო ბრინჯაოს ა. ჩერნინმა.

სატურნირო ორბიტა

კრივი. 18 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ჭაბუკ მოკრივეთა მეოთხე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შვიდი ქვეყნის...

...რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. საპრიზო ადგილები წილად ხვდათ სომხეთისა და საქართველოს კოლექტივებს.

მოსკოვი

20 დეკემბერი

თბილისი

20 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მოამბე.

თეატრი

20 დეკემბერი

მეტეხის — განდეგილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — თავისუფალი თემა (აბონ. № 55).

ჩვენი ტელეეკრანი

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.